საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NAP) განხორციელების მონიტორინგის ანგარიში

(იანვარი-დეკემბერი, 2023)

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

აპრილი, 2024

პუბლიკაცია მომზადებულია „Facilitating the Implementation of the EU-Georgia Association Agenda 2022-2028“ პროექტის ფარგლებში „ევროპის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები და შეფასებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს.“

სარჩევი

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	4
მეთოდოლოგია	6
ზოგადი პროგრესი	7
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	9
სასამართლო რეფორმა	14
დასკვნა	25

ძირითადი მიგნებები

ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმა (NAP) ვერ პასუხობს ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ პრიორიტეტებსა და მიზნებს, ამასთან უგულებელყოფს როგორც კორუფციასთან ბრძოლის, ისე სასამართლო რეფორმის მიმართულებით არსებულ ყველა ძირითად გამოწვევას.

სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო მხოლოდ ფრაგმენტულ ცვლილებებზე. გეგმით შემოთავაზებული **აქტივობების უმეტესობა არ იყო შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული. გეგმაში მოცემული ყველა აქტივობის სრულად შესრულების შემთხვევაშიც კი, ძირითადი პრობლემები კვლავ გადაუჭრელი დარჩებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობები არ იყო ამბიციური და ტრანსფორმაციული, მათი განხორციელების დონე მაინც ძალიან დაბალია:

- **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სასამართლო რეფორმის მიმართულებებით** ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნულ **სამოქმედო გეგმაში** გათვალისწინებული **აქტივობების მხოლოდ 24% შესრულდა სრულად (6 აქტივობა).**
- პასუხისმგებელ უწყებებს შორის **ყველაზე ნაკლები პროგრესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს - აქტივობების 90% არ შესრულდა (10 აქტივობიდან მხოლოდ 1 შესრულდა ნაწილობრივ).**

შესავალი

ასოცირების შეთანხმებით[1] ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ევროკავშირი და საქართველო პერიოდულად რამდენიმეწლიან სტრატეგიულ დოკუმენტს - **ასოცირების დღის წესრიგს** ამტკიცებენ. დღის წესრიგი განსაზღვრავს სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებსაც ქვეყანამ მოკლე (3-4 წელი) და საშუალოვადიან (7 წელი) პერიოდში უნდა მიაღწიოს.

ასოცირების დღის წესრიგით დამტკიცებული პრიორიტეტების შესაბამისად საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს **ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმას.**

სამოქმედო გეგმა უნდა აერთიანებდეს ყველა იმ აქტივობას, რომელიც ასოცირების შეთანხმების პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევადა საჭირო.

1 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია აქ.

2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგით[2] გათვალისწინებული პრიორიტეტების საპასუხოდ **ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა**[3] საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომამ 2023 წლის 18 აპრილს მოიწონა.

2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ **„ახალი დღის წესრიგის ფარგლებში, ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობისას ცენტრალური ყურადღება დაეთმობა დემოკრატიული და კანონის უზენაესობის დღის წესრიგის განმტკიცებას - ამბიციური პოლიტიკური, სასამართლო და ანტიკორუფციული რეფორმების მეშვეობით.“**[4]

სამწუხაროდ, **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არ პასუხობს ახალი დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების უმეტეს ნაწილს** და ამასთან, **უგულებელყოფს როგორც კორუფციასთან ბრძოლის, ისე სასამართლო რეფორმის მიმართულებით არსებულ კრიტიკულ გამოწვევებს.**[5]

სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია მხოლოდ ფრაგმენტულ ცვლილებებზე. გეგმით შემოთავაზებული **აქტივობების უმეტესობა არ არის შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული** და საბოლოოდ არ ემსახურება ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების (ამოცანების) მიღწევას. გეგმაში მოცემული ყველა აქტივობის სრულად შესრულების შემთხვევაშიც კი, ძირითადი პრობლემები კვლავ გადაუჭრელი დარჩება.

სამწუხაროა, რომ **ევროკავშირში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა მომზადდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის N629 დადგენილების**[6] **გვერდის ავლით,** რის გამოც იგი ვერ აკმაყოფილებს **სამოქმედო გეგმისთვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებსაც კი.** სამოქმედო გეგმის შემუშავებისას სამთავრობო უწყებებმა არც სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეთავაზებული[7] აქტივობები გაითვალისწინეს.

---

2 RECOMMENDATION No 1/2022 OF THE EU-GEORGIA ASSOCIATION COUNCIL of 16 August 2022 on the EU-Georgia Association Agenda 2021-2027 [2022/1422], ხელმისაწვდომია აქ.

3 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ.

4 RECOMMENDATION No 1/2022 OF THE EU-GEORGIA ASSOCIATION COUNCIL of 16 August 2022 on the EU-Georgia Association Agenda 2021-2027 [2022/1422], p.44, ხელმისაწვდომია აქ.

5 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შეფასება კორუფციასთან ბრძოლისა და სასამართლო რეფორმის მიმართულებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ივლისი 3, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

6 პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, საქართველოს მთავრობის დადგენილება N629, დეკემბერი 20, 2019, ხელმისაწვდომია აქ.

7 კორუფციისა და სასამართლო რეფორმის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენელთა ჩართულობით შემუშავებული ალტერნატიული სამოქმედო გეგმა (Shadow Action Plan), ხელმისაწვდომია აქ.

მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის** განხორციელების **მონიტორინგის წლიურ ანგარიშს**.

ანგარიშის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია სამთავრობო გეგმაში **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა** და **სასამართლო რეფორმის მიმართულებით** გათვალისწინებული **აქტივობების განხორციელების** შესახებ. **ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის სრულ პერიოდს - 2023 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით.**

ანგარიშის შესამუშავებლად, გარდა ღია წყაროებზე ხელმისაწვდომი მონაცემებისა, ასევე გამოყენებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე საჯარო დაწესებულებებიდან (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია,[8] გენერალური პროკურატურა,[9] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური[10]) მიღებული ინფორმაცია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროგრესის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გაეგზავნა უზენაეს სასამართლოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლასაც, თუმცა, საბჭომ და სკოლამ კანონის დარღვევით,[11] საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს. უზენაესმა სასამართლომ კი გვიპასუხა, რომ მათ ინფორმაცია მიაწოდეს შესაბამის სახელმწიფო უწყებას (საგარეო საქმეთა სამინისტროს), და ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდებაზე უარი თქვეს,[12] რაც ასევე კანონის დარღვევაა.[13] შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში ამ უწყებების აქტივობებზე პროგრესი შეფასებულია მათ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ან/და სხვა საჯარო წყაროში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციის წყაროდ ასევე გამოყენებულია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროგრეს[14] და წლიური[15] ანგარიშები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადებული პროგრეს ანგარიში.[16]

მონიტორინგის ფარგლებში აქტივობებისთვის მინიჭებული **რეიტინგი** მათი განხორციელების დონეს ასახავს. კერძოდ, რეიტინგი აქტივობის შინაარსობრივ შესრულებას აფასებს, **თუ რა მოცულობით შესრულდა დაგეგმილი აქტივობა სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორთან მიმართებით**.

---

8 მთავრობის ადმინისტრაციის პასუხი, ხელმისაწვდომია აქ.

9 გენერალური პროკურატურის პასუხი, ხელმისაწვდომია აქ.

10 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხი, ხელმისაწვდომია აქ.

11 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი (N პ-181-24), 2024 წლის 23 აპრილი, ხელმისაწვდომია აქ.

13 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40, პუნქტი 3.

14 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ.

15 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ.

16 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შეფასება კორუფციასთან ბრძოლისა და სასამართლო რეფორმის მიმართულებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ივლისი 3, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

აქტივობის განხორციელება შეფასებულია შემდეგი კრიტერიუმებით:	
შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი შესრულდა 100%-ით
ნაწილობრივ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი შესრულდა სულ მცირე 50%-ით
არ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი შესრულების პროგრესი 50%-ზე ნაკლებია

აქტივობებს, რომელთა განხორციელების პროგრესის შესახებ ინფორმაცია პასუხისმგებელმა უწყებამ არ გასცა, და ამასთან შესაბამისი ინფორმაცია არც ღია წყაროებშია ხელმისაწვდომი – ანგარიშში მიენიჭა რეიტინგი *„არ შესრულდა“*.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივობა გულისხმობს „საინფორმაციო შეხვედრების გამართვას“, ხოლო ინდიკატორად მითითებულია მხოლოდ - „ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა“, ერთი შეხვედრის ჩატარების მიუხედავად – მიენიჭა რეიტინგი *„შესრულდა“*.

ზოგადი პროგრესი

მონიტორინგის ანგარიშმა სულ 25 აქტივობის განხორციელების დონე შეაფასა, კერძოდ:

- **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპონენტში** შეფასდა 6 აქტივობის განხორციელების დონე, საიდანაც 4 – შესრულდა, 2 – ნაწილობრივ შესრულდა.
- **სასამართლო რეფორმის კომპონენტში** შეფასდა 19 აქტივობა, საიდანაც 6 – შესრულდა, 8 – ნაწილობრივ შესრულდა, 11 – არ შესრულდა.

აქტივობების განხორციელების რეიტინგი



აქტივობების განხორციელების რეიტინგი **პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით**:

პასუხისმგებელი უწყება	სულ აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
გენერალური პროკურატურა	1	1	-	-
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	3	3	-	-
მთავრობის ადმინისტრაცია	2	-	2	-
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10	-	1	9
უზენაესი სასამართლო	3	2	1	-
სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	6	-	4	2

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პასუხისმგებელ უწყებებს შორის ყველაზე მცირე პროგრესი აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომლის აქტივობების 90% (9 აქტივობა) არ შესრულდა.

გეგმით განსაზღვრული აქტივობებიდან შესრულების 100%-იანი მაჩვენებელი აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (3 აქტივობა) და გენერალურ პროკურატურას (1 აქტივობა). თუმცა, ამ შემთხვევაში, აუცილებელია აღინიშნოს გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების შინაარსობრივი მხარე და მისთვის განსაზღვრული ინდიკატორის ხარისხი. სამწუხაროდ, სუს-ის მიერ გათვალისწინებული სამივე აქტივობა კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ რაიმე სახის ხელშესახებ რეფორმას არ გვთავაზობს. მაგალითად, აქტივობები მიემართება საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაგრძელებას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამასთან, ამ აქტივობებისთვის განსაზღვრული ინდიკატორი საკმაოდ სუსტია, ვერ აკმაყოფილებს ე.წ SMART კრიტერიუმებს[17] და სულ მცირე 1 ქვე-აქტივობის განხორციელების შემთხვევაშიც კი, აქტივობა სრულად შესრულებულად ითვლება.

17 SMART: Specific (კონკრეტული), Measurable (გაზომვადი), Achievable (მიღწევადი), Relevant (შესაბამისი), Time-bound (დროში გაწერილი).

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპონენტი[18] *ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმაში* მხოლოდ რამდენიმე აქტივობით შემოიფარგლა, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **გვერდი აუარა ასოცირების დღის წესრიგში მოცემულ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებს.** ევროინტეგრაციის კომისიის მიერ მოწონებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა შემდეგ აქტივობებს:

- საერთაშორისო დონეზე კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელება;
- სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების გამართვა;
- კორუფციული დანაშაულების საკითხებზე პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების გადამზადება;
- საჯარო მმართველობის რეფორმისა და ღია მმართველობა საქართველოს (OGP) პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცება და განხორციელების დაწყება.

აქტივობა:	**პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თანამშრომლობის გაგრძელება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა. მომზადებული და ინიცირებული შეთანხმებების რაოდენობა	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**	

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[19] 2023 წელს მათმა თანამშრომლებმა 8 ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, ინტერპოლის, აშშ-ის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან

18 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპონენტში შეფასებულია მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც ასოცირების დღის წესრიგის პირველი თავის (Democracy, Human Rights and Good Governance) 1.2 ქვეთავის (Anti-corruption, fight against fraud, public administrative reform and public service) პრიორიტეტებს შეესაბამება/უნდა შეესაბამებოდეს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში კორუფციის კომპონენტში არ აფასებს სახელმწიფო შესყიდვებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ქვეთავის ქვეშ განსაზღვრულ აქტივობებს.

19 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი (SSG 8 24 00067138), მარტი 25, 2024 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

თანამშრომლობის ბიუროს (INL), გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ), დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამის ფარგლებში. აღსანიშნავია, ამ ნაწილში წლიური პროგრესის მაჩვენებელი ემთხვევა იანვარ-ივნისის (6 თვის პროგრესი) მონაცემებს.[20]

უწყების ინფორმაციით, 2023 წელს დაიწყო და მოლაპარაკებები მიმდინარეა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების 7 პროექტზე და დანაშაულის, მათ შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების 2 პროექტზე.

აქტივობა:	**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) თანამშრომელთა პროფესიული განვითარება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა. გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**	

უწყების ცნობით,[21] საანგარიშო პერიოდში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს 34-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა 14 სხვადასხვა ღონისძიებაში (ტრენინგები, კურსები, სემინარები), მათ შორის შემდეგ საკითხებზე: „კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციის რისკების შემცირება“; „კორუფცია საჯარო სექტორში“; „კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული რისკები, გამოძიებები და ზედამხედველობა“; „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობა და კორუფცია“; „სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ასპექტები, რისკები და მათი იდენტიფიცირების თავისებურებები“; „პარალელური ფინანსური გამოძიება“; ფულის გათეთრების საქმეების გამოძიება“ და სხვა. აღნიშნული ღონისძიებები გაიმართა როგორც საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ისე სსიპ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით.

20 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი (SSG 0 23 00177382), აგვისტო 1, 2023 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

21 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი (SSG 8 24 00067138), მარტი 25, 2024 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

აქტივობა:	**კორუფციის პრევენციის მიზნით, კორუფციულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**	

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG III) ფარგლებში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გაიმართა ორი საინფორმაციო შეხვედრა და გადამზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის 77 თანამშრომელი ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში.[22]

აღსანიშნავია, ამ ნაწილში წლიური პროგრესის მაჩვენებელი ემთხვევა იანვარ-ივნისის (6 თვის პროგრესი) მონაცემებს.[23]

აქტივობა:	**კორუფციული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების გადამზადება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული მინიმუმ ერთი სასწავლო აქტივობა; გადამზადებულ პირთა რაოდენობა	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს გენერალური პროკურატურა**	

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[24] კორუფციული დანაშაულების საკითხებზე 2023 წელს 8 სასწავლო აქტივობის ფარგლებში, გადამზადდა პროკურატურის 18 თანამშრომელი.

22 იქვე.

23 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი (SSG 0 23 00177382), აგვისტო 1, 2023 წელი, ხელმისაწვდომია აქ.

24 გენერალური პროკურატურის წერილი (№13/23609), აპრილი 8, 2024, ხელმისაწვდომია აქ.

აქტივობა:	**საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2023-2026 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელების დაწყება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონიტორინგის ანგარიში	**ნაწილობრივ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**	

საქართველოს მთავრობამ საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა 2023 წლის 16 თებერვალს დაამტკიცა.[25]

2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პირველი პროგრეს ანგარიში (2023 წლის I-III კვარტალი) საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საბჭომ წერილობითი პროცედურით დაამტკიცა. თუმცა, ანგარიში მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, რადგან მთავრობის ადმინისტრაციის განმარტებით, მთავრობის შესაბამისი დადგენილებით პროგრეს ანგარიშების გამოქვეყნება სავალდებულო არ არის.[26] უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა აუარესებს გასული წლების პრაქტიკას, როცა საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშები, მათ შორის პროგრეს ანგარიშებიც, საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო.[27]

აქტივობა შინაარსობრივად დაგვიანებით (საანგარიშო პერიოდს მიღმა) შესრულდა, თუმცა მომზადებული ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გახდა.

აქტივობა:	**ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელების დაწყება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ღია მმართველობა საქართველოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონიტორინგის ანგარიში	**ნაწილობრივ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**	

25 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 66 საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, თებერვალი 16, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

26 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი (GOV 4 24 00007582), მარტი 13, 2024, ხელმისაწვდომია აქ.

27 საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, საჯარო მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ხელმისაწვდომია აქ.

ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა,[28] რასაც წინ უძღოდა 20 დეკემბერს ღია მმართველობა საქართველოს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (საბჭო) პირველ სხდომაზე წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სამოქმედო გეგმის ფორმალური[29] მხარდაჭერა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ ზედიზედ ორჯერ დაარღვია[30] OGP-ის მონაწილეობისა და თანა-შექმნის სტანდარტები,[31] სამოქმედო გეგმის 2023 წლის 31 დეკემბრამდე ვერ დამტკიცების შემთხვევაში ქვეყანას „არააქტიური“ (INACTIVE) სტატუსი მიენიჭებოდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეთავაზებული არც ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა არ აიღო ვალდებულებად, OGP-ის საერთაშორისო პლატფორმიდან ქვეყნის გამოთიშვის თავიდან ასაცილებლად, საბჭოს წევრმა ორგანიზაციებმა წარმოდგენილ პროექტს მხარი მაინც დაუჭირეს.

რაც შეეხება ინდიკატორად განსაზღვრულ მონიტორინგის ანგარიშს, OGP სამდივნოს (მთავრობისადმინისტრაციის) განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ მომზადდება და ხელმისაწვდომი იქნება 2026 წლის პირველ კვარტალში, რაც ასევე აუარესებს სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის ანგარიშების შემუშავების და გამოქვეყნების აქამდე დამკვიდრებულ პრაქტიკას.[32]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ OGP-ის ძირითადი ღირებულებებისა და პრინციპების უხეშად დარღვევის გამო, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს/ფორუმის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა OGP-ის საერთაშორისო სამდივნოს „რეაგირების პოლიტიკის“ (OGP Response Policy) ამოქმედება მოსთხოვეს.[33]

---

28 ღია მმართველობა საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №555, დეკემბერი 29, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

29 საქართველოს OGP-ის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმისა და მიღების პროცესის მიმოხილვა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, იანვარი 18, 2024, ხელმისაწვდომია აქ.

30 Georgia Under Review Letter, Open Government Partnership, ხელმისაწვდომია აქ.

31 OGP Participation and Co-Creation Standards, approved by the OGP Steering Committee on 24 November 2021, ხელმისაწვდომია აქ.

32 ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმების განხორციელების შუალედური და საბოლოო თვითშეფასების ანგარიშები, ხელმისაწვდომია აქ.

33 Georgia: Letter of Concern, April 13, 2023, ხელმისაწვდომია აქ; Response Policy Case: Georgia, Timeline and Related Documents, ხელმისაწვდომია აქ.

სასამართლო რეფორმა

სასამართლო რეფორმის მიმართულებით *ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმით* გათვალისწინებული აქტივობები **ფასადური ცვლილებების** გატარებას ისახავს მიზნად და **გვერდს უვლის სასამართლო სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს**. თუმცა, სამოქმედო გეგმა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის განახლება,
- მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა,
- მოსამართლეთათვის სოციალური გარანტიების შექმნა და სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველყოფა.

აქტივობა:	**ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევების მომზადება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმნა და უახლესი პრაქტიკის თაობაზე პუბლიკაციების მომზადება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	კვლევების, პუბლიკაციებისა და თარგმნილი გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები და მათი ხელმისაწვდომობა უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს უზენაესი სასამართლო**	

საანგარიშო პერიოდში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა კვლევა თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციული სამართლებრივი მექანიზმები (დამცავი ორდერები).“ კვლევა აანალიზებს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.[34] ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი სახელმძღვანელო სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით.[35] გარდა ამისა, ასევე ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 45 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების ელექტრონული საძიებო სისტემის (HUDOC) ქართულენოვან ვერსიაზე განთავსების მიზნით.[36]

34 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციული სამართლებრივი მექანიზმები (დამცავი ორდერები), საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

35 გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია აქ.

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი, ივლისი 31, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

აქტივობა:	**სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ფორმებისა და ინსტრუქციის განახლება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიისა (CEPEJ) და სხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ დაკისრებული ვალდებულებების მიხედვით)**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	სტატისტიკის მონაცემების აღრიცხვის დანერგილი ახალი მეთოდი	**ნაწილობრივ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს უზენაესი სასამართლო**	

2023 წელს სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების განახლების პარალელურად, ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში,[37] CEPEJ-ს ექსპერტების ჩართულობით, გაკეთდა CEPEJ-ს შეფასების 2 წლიანი ციკლი და წარმოდგენილ იქნა საქართველოს მონაცემები ძირითადი ტენდენციებით, გაანალიზდა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებლები. სასამართლოთა მენეჯერების უშუალო ჩართულობით განხორციელდა CEPEJ-ს ძირითადი ინდიკატორების კალკულაცია, ამასთან გაანალიზდა მათი მნიშვნელობა სასამართლოს საქმიანობის შეფასებისას.

გაგრძელდა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტები ,,სასამართლოს მენეჯმენტის მოდერნიზაციის მხარდაჭერა საქართველოში“ და „სასამართლო რეფორმის შედეგების უკეთ შეფასების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში,“ რომლის ფარგლებშიც ნოემბერში ჩატარდა ტრენინგი ტრენერებისათვის: „სემინარი სტატისტიკოსებისთვის სასამართლო მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ანგარიშგების შესახებ.“ ტრენინგზე გაიმართა ტექნიკური დოკუმენტის პრეზენტაცია, განხილეს კომენტარები და შეიმუშავეს შემდგომი ნაბიჯები. 2024 წლიდან უნდა დაიწყოს სამოქალაქო საქმეების პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებისათვის ვებ ფორმების შექმნა.[38]

ევროსაბჭოს პროექტის[39] ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს 2022 წლის ერთიანი ანგარიში.[40]

37 ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „სასამართლო რეფორმების განხორციელება“ კომპონენტი „სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და ადვოკატთა პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოში.“

38 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

39 ევროსაბჭოს პროექტი „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში.“

40 დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში 2022, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია აქ.

უწყების ინფორმაციით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2023 წელს გაგრძელდა მუშაობა მონაცემთა ანალიზის მიმართულებით, რომელშიც ჩართულია სასამართლო სისტემა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 2 ტრენინგი პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა თანაშემწეებისა და სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლებისთვის. ტრენინგების ფარგლებში, ყურადღება დაეთმო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ევროპულ სტანდარტებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში, ასევე სტატისტიკის როლს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის.

აქტივობა:	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და მოხელეებისათვის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება, სასამართლოს პალატების სპეციფიკის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს უახლესი პრაქტიკის მიხედვით**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ტრენინგებისა და მათში მონაწილე მოსამართლეებისა და თანაშემწეების რაოდენობრივი მონაცემები	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს უზენაესი სასამართლო**	

უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ტრენინგი/ სემინარი სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის მიმართულებით:

- ევროპის საბჭოს პროექტის[41] ფარგლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამშრომლების მონაწილეობით სისხლის სამართლის მიმართულებით თემაზე - „ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის შესახებ.“
- ევროკავშირთან დაძმობილების (Twinning) პროექტის მხარდაჭერით და საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთან თანამშრომლობით, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით თანაშემწეებისთვის თემაზე - „მომხმარებლის უფლებების დაცვა - გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილება.“
- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით, გერმანელი ექსპერტის მონაწილეობით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებისთვის სემინარი თემაზე - „ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური საკითხები ევროპული სამართლის ჭრილში.“
- გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებისთვის გერმანელი ექსპერტის მონაწილეობით შეხვედრა თემაზე - საქართველოსა და გერმანიის სასამართლო სისტემების ორგანიზაციული მოწყობის შედარება.

41 ევროსაბჭოს პროექტი „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა საქართველოში: ბავშვთა დაცვა და პრევენცია ძალადობისგან, მათ შორის ციფრულ გარემოში.“

- ევროპის საბჭოს პროექტის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში ტრენინგი უზენაესი სასამართლოს თანაშემწეებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თაობაზე.

აქტივობა:	**მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის გამართულად ფუნქციონირება	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭომ არ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, აქტივობის შეფასებისთვის ვიხელმძღვანელეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშით“,[42] რომლის საფუძველზე, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამ აქტივობასთან მიმართებით უწყებას პროგრესი არ ჰქონია.

აქტივობა:	**საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ინტეგრაცია სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ინტეგრაციის შედეგად, სულ მცირე სამ სასამართლოში, მიღებული და გამოყენებული შესაბამისი მონაცემები	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭომ არ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, აქტივობის შეფასებისთვის ვიხელმძღვანელეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშით“, რომლის საფუძველზე, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამ აქტივობასთან მიმართებით უწყებას პროგრესი არ ჰქონია.[43]

42 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ;

43 იქვე.

აქტივობა:	**სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	დამტკიცებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სასამართლო სისტემის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების მიზნით	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სასამართლოს თავმჯდომარეებით, მენეჯერებით, კოლეგიების სამდივნოების უფროსებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარისა და შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტებით. მოწვეულმა ექსპერტებმა მოამზადეს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგია და შესაბამისი 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით არ იკვეთება, რომ საანგარიშო პერიოდში სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.[44]

აქტივობა:	**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესებთან დაკავშირებით სასამართლო რეფორმის ე.წ. „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის წერილის და ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის“ საფუძველზე, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამ აქტივობასთან მიმართებით უწყებას პროგრესი არ ჰქონია.

44 იქვე.

აქტივობა:	**საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების წესის განახლება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	დამტკიცებული განახლებული წესი საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების შესახებ	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, სასამართლოს მენეჯერებისა და სასამართლო მოხელეების შემადგენლობით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის“ თანახმად საერთო სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის პროექტის შემუშავება ბოლო ფაზაშია.

აქტივობა:	**საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო წინადადების მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	პარლამენტისთვის წარდგენილი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველმყოფის საკანონმდებლო წინადადება	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის წერილის და ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის“ საფუძველზე,[45] შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამ აქტივობასთან მიმართებით უწყებას პროგრესი არ ჰქონია.

45 იქვე.

აქტივობა:	**სასამართლოს საქმიანობის ზოგადი პრინციპების, წესებისა და პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებაში გავრცელება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	სასამართლოს საქმიანობის ზოგადი პრინციპების, წესებისა და პროცედურების თაობაზე, სულ მცირე 3 საქალაქო/რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, გავრცელებული ინფორმაცია	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის“ თანახმად,[46] სასამართლოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაწყებული აქვს მუშაობა სასამართლოს საქმიანობის პრინციპების, წესებისა და პროცედურების თაობაზე საინფორმაციო ბროშურების მომზადებაზე.

აქტივობა:	**დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული, სულ მცირე, 5 საინფორმაციო შეხვედრა	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

საბჭოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მხოლოდ 1 საჯარო ლექცია ჩაატარა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. ლექცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებებს ეხებოდა.

46 იქვე.

აქტივობა:	**სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესების კომენტარების შემუშავება დამოუკიდებელიინსპექტორისჩართულობით**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	დამოუკიდებელი ინსპექტორის ჩართულობით შემუშავებული განახლებული ეთიკის წესების კომენტარები	**ნაწილობრივ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამივე ინსტანციის მოსამართლეებისგანაა დაკომპლექტებული.[47] საბჭოს ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფი სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარების შემუშავების ბოლო ფაზაშია.[48]

აქტივობა:	**მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	მედიაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული, სულ მცირე, 3 ღონისძიება	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო**	

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის წერილის და ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის საფუძველზე,[49] შესაძლებელია იმის თქმა, რომ ამ აქტივობასთან მიმართებით უწყებას პროგრესი არ ჰქონია.

47 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 24 მარტის განკარგულება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, ხელმისაწვდომია აქ.

48 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ.

49 იქვე.

აქტივობა:	**მოსამართლეებისთვის ტრენინგის ჩატარება ლტოლვილთა სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (სულ მცირე 1) და გადამზადებული მოსამართლეების სტატისტიკური მონაცემები	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

იუსტიციისუმაღლესისკოლისვებგვერდზეგანთავსებულიინფორმაციისმიხედვით,თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მოხელეებისთვის გაიმართა ტრენინგი ლტოლვილთა სამართალზე.[50] საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ამ საკითხებზე ასევე გადამზადდა 16 მოსამართლე.[51]

აქტივობა:	**მოსამართლეებისთვის, ტრენინგის ჩატარება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის თემატიკაზე**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (სულ მცირე 1) და გადამზადებული მოსამართლეების სტატისტიკური მონაცემები	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წლის 4 აპრილს, თბილისის სააპელაციო და ბოლნისის რაიონული სასამართლოების მოხელეებისთვის გაიმართა ტრენინგი „მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე“, მათ შორის, მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის თემატიკაზე.[52] 2023 წლის 7 და 8 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ევროკავშირი საქართველოსთვის თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე გაიმართა იგივე სახელწოდების ტრენინგი, ამჯერად როგორც მოხელეების, ასევე მოსამართლეებისთვის.

50 ტრენინგი ლტოლვილთა სამართალში, სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ხელმისაწვდომია აქ.

51 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ. 20, ხელმოსაწვდომია აქ; საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხელმისაწვდომია აქ.

52 სემინარი მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებზე, სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ხელმისაწვდომია აქ.

აქტივობა:	**მოსამართლეებისათვის და სასამართლოს მოხელეებისთვის დისკრიმინაციის, მათ შორის სამუშაო ადგილას განხორციელებული დისკრიმინაციისა და შევიწროების თემაზე, ტრენინგის ჩატარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს უახლეს პრაქტიკასთან დაკავშირებით**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა (სულ მცირე 1), გადამზადებული მოსამართლეების ან/და მოხელეების სტატისტიკური მონაცემები	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოხელეებისთვის გაიმართა ორდღიანი ტრენინგი თემაზე - „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები.“[53] დისკრიმინაციის საკითხებზე სულ გადამზადდა 22 მოსამართლე.[54] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა და საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა“, სულ გადამზადდა 20 მოხელე. აღნიშნული ტრენინგი გაიმართა მოსამართლეებისთვისაც, სადაც გადამზადდა 12 მოსამართლე.[55]

აქტივობა:	**მოსამართლეებისთვის და მოხელეებისთვის ტრენინგის ჩატარება სამოსამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა (სულ მცირე 1) და გადამზადებული მოსამართლეებისა და მოხელეების სტატისტიკური მონაცემები	**შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციით, 2023 წლის 11-12 თებერვალს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართა ტრენინგი თემაზე - „სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული

53 დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, მაისი 16, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

54 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვ. 20, ხელმოსაწვდომია აქ.

55 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს მთავრობა, ხელმისაწვდომია აქ.

კურსი,“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სააპელაციო, თბილისის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო, ზუგდიდის, ოზურგეთის, გორის, ბოლნისისა და თელავის რაიონული სასამართლოების მოსამართლეებმა.[56] 20-22 ოქტომბერსა და 22-24 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარდა 2 ტრენინგი “სამოსამართლო ეთიკის” შესახებ. სულ გადამზადდა 44 მოსამართლე.[57]

აქტივობა:	**ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მოსამართლეთა დისტანციური სწავლების კურსის -„ DL for Judges“ შემუშავება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	შემუშავებული კურსი	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ არ გასცა ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის შესრულების პროგრესთან დაკავშირებით. თუმცა, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წლის დეკემბერში საქპატენტსა და სასამართლო კორპუსის წარმომადგენლებს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც განიხილეს 2023 წლის თანამშრომლობის პერსპექტივები და აქტივობები, მათ შორის, მოსამართლეებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სპეციალიზებული კურსების შემუშავების საკითხი.[58] მიუხედავად ამისა, ამ ანგარიშის მომზადების ეტაპზე არ არის ცნობილი გადაიდგა თუ არა, კონკრეტული ნაბიჯები ამ აქტივობის შესასრულებლად. ინფორმაცია მითითებული არ არის ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ანგარიშში.[59]

აქტივობა:	**შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის, მოსამართლეებისათვის და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება**	**შესრულების რეიტინგი**
ინდიკატორი:	ორგანიზებული/ჩატარებული არანაკლებ ხუთი ტრენინგი/სემინარი/სამუშაო შეხვედრა	**არ შესრულდა**
პასუხისმგებელი უწყება:	**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა**	

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ არ გასცა ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის შესრულების პროგრესთან დაკავშირებით. შესაბამისი ინფორმაცია არც ღია წყაროებშია ხელმისაწვდომი[60] (მათ შორის არც უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე).

56 სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი, თებერვალი 13, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

57 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს მთავრობა, ხელმისაწვდომია აქ.

58 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საქპატენტსა და სასამართლო კორპუსის წარმომადგენლებს შორის გამართული სამუშაო შეხვედრის შესახებ, ხელმისაწვდომია აქ.

59 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, საქართველოს მთავრობა, ხელმისაწვდომია აქ.

60 იქვე.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სასამართლო რეფორმის მიმართულებით **ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმაში** გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია – **აქტივობების მხოლოდ 24% შესრულდა სრულად**.

ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები უნდა გამომდინარეობდეს **ასოცირების დღის წესრიგიდან** და **საბოლოოდ კი, უნდა მიემართებოდეს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას**. სამწუხაროდ, მთავრობის მიერ შემოთავაზებული გეგმა არ პასუხობს **ასოცირების დღის წესრიგის** მთავარ მოთხოვნას სასამართლო და ანტიკორუფციული მიმართულებით ამბიციური რეფორმების გატარების შესახებ.

სამოქმედო გეგმის შემუშავებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია სფეროში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად მთავრობის მიერ გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯების (აქტივობების) სწორად განსაზღვრა.

დღის წესრიგის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც პრევენციული, ისე აღმკვეთი საშუალებების გაძლიერება და პრაქტიკაში სრულად ამოქმედება**. კერძოდ, ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, კორუფციის *ყველა ფორმის* პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით. სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს მაღალი დონის კორუფციის პრობლემის წინააღმდეგ საჭირო რეფორმებს, მაშინ როცა ამ პრობლემის სიმწვავეზე სულ უფრო და უფრო მეტი საერთაშორისო დოკუმენტი უთითებს მთავრობას, მათ შორის ევროპარლამენტი,[61] ევროკომისია,[62] ვენეციის კომისია.[63] საგანგაშოა, რომ სამოქმედო გეგმა გვერდს უვლის ახლად შექმნილი სსიპ ანტიკორუფციული ბიუროს არსებობას, მისი შესაძლებლობების გაძლიერებას და მის ჩართვას კორუფციის პრევენციის კომპონენტში. საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერებასა და სავარაუდო კორუფციული შემთხვევების, განსაკუთრებით კი მაღალი დონის, გამოძიების გაუმჯობესებასთან ერთად, გეგმაში წამყვანი როლი უნდა ჰქონოდა საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანას - კორუფციულ დანაშაულთა პრევენციისა და აღკვეთის ეფექტიანი სისტემის დანერგვას. ასევე, კორუფციული დანაშაულებზე დეტალური სააღსრულებო სტატისტიკის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულად გამოყენების უზრუნველყოფა.

საქართველოს **სასამართლოს სისტემისთვის** მთავარ გამოწვევად კვლავ კორპორატივიზმი და არაფორმალური გავლენები რჩება.[64] ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები კვლავ არ შეხებია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში

61 European Parliament resolution of 14 December 2022 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia, ხელმისაწვდომია აქ.

62 Communication From The Commission to the European Parliament, the European Council and the Council, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, ხელმისაწვდომია აქ.

63 Georgia: Final Opinion On The Draft Law "On De-Oligarchisation", Adopted by the Venice Commission at its 135th Plenary Session, Venice, June 9-10, 2023, ხელმისაწვდომია აქ.

64 Venice Commission, CDL-AD(2023)006, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts ("the March 2023 Opinion"), par.17.

კონცენტრირებულ ძალაუფლებას.[65] ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ თქვა უარი საბჭოს შემადგენლობაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არა-მოსამართლე წევრების დანიშვნაზე.[66] მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების ეფექტიანი განხორციელება ყველა ასპექტში და 2021 წლის შემდგომი პერიოდის სასამართლო რეფორმის ამბიციური სტრატეგიის მიღება ფართო, ინკლუზიური და პარტიების ჩართულობით - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, მათ შორის საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების წესის განახლება, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველყოფა, სასამართლოს საქმიანობის ზოგადი პრინციპების, წესებისა და პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებაში გავრცელება, არ შეიძლება მივიჩნიოთ ამ ამოცანის შესრულების საუკეთესო საშუალებებად.

დღის წესრიგის თანახმად, უნდა განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლო ხელისუფლების სხვა ძირითადი ინსტიტუტების ინსტიტუციური წყობისა და პრაქტიკის გაძლიერება და არსებითი რეფორმირება, მათ მიერ მიღებული ნორმებისა და გადაწყვეტილებების, მათ შორის, დანიშვნის, შეფასების, დაწინაურების, თანამდებობიდან გადაყვანისა და დისციპლინური სახდელების შესახებ გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანად გაზრდის მიზნით. თუმცა, ამ ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები, დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესების კომენტარების შემუშავება, ვერ უზრუნველყოფს დასახული პრიორიტეტების მიღწევას.

სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო მხოლოდ ფრაგმენტულ ცვლილებებზე. გეგმით შემოთავაზებული **აქტივობების უმეტესობა არ იყო შედეგებზე ორიენტირებული, ინოვაციური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული**. **გეგმაში მოცემული ყველა აქტივობის სრულად შესრულების შემთხვევაშიც კი, ძირითადი პრობლემები კვლავ გადაუჭრელი დარჩებოდა.**

65 Follow-Up Opinion To Previous Opinions Concerning The Organic Law On Common Courts, Venice Commission, Cdl-Ad(2023)033.

66 ibid, p 5.